საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

08/08/2025

MES 7 25 0001015765

გადაწყვეტილება

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის

სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 მაისის №549015 (ცვლილება ბრძანებაში №564727, 22/05/2025) ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება:

ა) საბჭომ ამოიღო 1.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია, რის შედეგადაც კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

ბ) საბჭომ 1.5 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია -
რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება უახლესი ლიტერატურით, სადაც ეს შესაძლებელია;
გადავიდეს რჩევაში შემდეგი სახით:
"სასურველია,პერიოდულად განახლდეს სასწავლო კურსები სილაბუსები უახლესი ლიტერატურით."
ამოიღო შემდეგი რეკომენდაცია:
"რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო გეგმები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მთავრობის №394 (2020) დადგენილებით განსაზღვრული ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა", რის შედეგადაც კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

გ) 2.1 კომპონენტში დააკორექტირა რეკომენდაცია:
"რეკომენდირებულია პროგრამის მიღების წინაპირობების განახლება პროგრამაში და შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რათა ის დაინტერესებული პირებისთვის იყოს ხელმისაწვდომი."

დაკორექტირდეს რეკომენდაცია შემდეგი სახით:
"რეკომენდირებულია პროგრამის მიღების წინაპირობების (ეროვნულ გამოცდებზე მისაღები არჩევითი საგნების ნაწილში) დაკორექტირება".

ამოიღო კლასტერული რეკომენდაციები:
"რეკომენდირებულია, განახლდეს ვებ-გვერდი პროგრამაზე ჩარიცხვის ყველა კრიტერიუმის გამოქვეყნების მიზნით".
"რეკომენდირებულია, შიდა გამოცდების სტანდარტების დადგენა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნება".

დ) 2.3 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში:
რეკომენდირებულია, ჯგუფური მუშაობის კომპონენტის ფორმალიზება და მისი სათანადოდ ასახვა სასწავლო კურსების სილაბუსებსა და შეფასების სისტემაში, რათა შენარჩუნდეს ბალანსი ტრადიციულ ლექცია-სემინარს, ტესტებზე დაფუძნებულ მიდგომებსა და ინოვაციურ პედაგოგიურ მეთოდებს შორის" გადავიდეს რჩევაში შემდეგი სახით:

"სასურველია, ჯგუფური მუშაობის კომპონენტის ფორმალიზება და მისი სათანადოდ ასახვა სასწავლო კურსების სილაბუსებსა და შეფასების სისტემაში, რათა შენარჩუნდეს ბალანსი ტრადიციულ ლექცია-სემინარს, ტესტებზე დაფუძნებულ მიდგომებსა და ინოვაციურ პედაგოგიურ მეთოდებს შორის".
ამოიღო შემდეგი რეკომენდაცია:
"რეკომენდირებულია შეფასების გამჭვირვალობისა და ობიექტურობის გაზრდის მიზნით, გაგრძელდეს რუბრიკების სისტემატური დანერგვა".

ე) ამოიღო 2.4 კომპონენტში არსებული შემდეგი რეკომენდაციები:
"რეკომენდირებულია, შეიქმნას თანმიმდევრული შეფასების სტანდარტები დეტალური შეფასების რუბრიკებითა და შესრულების მკაფიო აღწერილობებით".
"რეკომენდირებულია, მასწავლებლის მოსამზადებელ კურსებში პრიორიტეტი მიენიჭოს პრაქტიკის შეფასებას, თეორიასთან შედარებით".
შესაბამისად, პირველი და მეორე სტანდარტები შეფასდა, როგორც შეესაბამება მოთხოვნებს.

ვ) ამოიღო 3.1 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაცია:
"რეკომენდებულია, ყველა სილაბუსში საკონსულტაციო საათების მითითება", რის შედეგადაც კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
ზ) 5.3 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში:
"რეკომენდირებულია, პერიოდულად შეადაროთ საგანმანათლებლო პროგრამები უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებს, რათა პროგრამები შეესაბამებოდეს საერთაშორისო თანამედროვე მოთხოვნებს და იზიარებდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს".
გადავიდეს რჩევაში შემდეგი სახით:
"სასურველია, პერიოდულად შეადაროთ საგანმანათლებლო პროგრამები უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებს, რათა პროგრამები შეესაბამებოდეს საერთაშორისო თანამედროვე მოთხოვნებს და იზიარებდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს".

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2032 წლის 25 ივლისამდე).
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს სხდომის №990502 ოქმის № 04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმის დანერგვა, რომელიც არ იქნება დამოკიდებული კურსის საბოლოო შეფასებებზე. თითოეულმა პროგრამის გუნდმა უნდა განსაზღვროს კონკრეტული შეფასების კომპონენტები ან აქტივობები, რომლებიც პირდაპირ ზომავს პროგრამის სწავლის შედეგებს. ამ მიზნობრივი შეფასებებიდან მიღებული მონაცემები სისტემატურად უნდა შეგროვდეს, გაანალიზდეს და გამოყენებულ იქნას პროგრამის გაუმჯობესებისთვის.
- რეკომენდირებულია, შეფასების მეთოდების დივერსიფიკაცია, ტრადიციული წერილობითი გამოცდების მიღმა.
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირ შეფასებად გამოიყენეთ მესამე დონის (განმტკიცების დონე) სასწავლო კურსებიდან მიღებული კონკრეტული შეფასების კომპონენტი/აქტივობა, რომელიც პირდაპირ ზომავს სწავლის შედეგს. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად უნივერსიტეტმა თანმიმდევრულად და მტკიცედ უნდა დანერგოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- რეკომენდირებულია პროგრამის მიღების წინაპირობების (ეროვნულ გამოცდებზე მისაღები არჩევითი საგნების ნაწილში) დაკორექტირება.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 25 ივლისიდან.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში

წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
თავმჯდომარე
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან